



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო კ მ ი N24

ქ. მარნეული

08.12.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, ნოდარ მთვარელიძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, გივი გიორგაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, ზურაბ ფანგანი, დავით ხუციშვილი, თორნიკე გოგლიძე, ნადირ გულიევი, ვანო ბურნაძე, ტარიელ მამედოვი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, აშრაფ ტუკანოვი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, აივაზ ისკანდაროვი, ილხამ გასანოვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკმამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი,

არ ესწრებოდა:

ნიკოლოზ გოგოჭური, ზურაბ ჭონიაშვილი, რამინ ალახვერდიევი, ლევონ აკოპიანი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, რაგიმ ასკეროვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადეღია, ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს დირექტორი ზაურ კარამოვი, ამავე ცენტრის იურისტი ედიშერ კუტალია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები:

„TV-მარნეული“-ს და რადიო მარნეულის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაცია დემოკრატიული კავშირი „მტრედი“-ს თავმჯდომარე საბინა ტალიბოვა, დემოკრატ ქალთა ორგანიზაციის პროექტის კოორდინატორი შიგუ აკოპიანი, მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე ოლგა ენდელაძე, სოფელ აღმამედლოს თემის წარმომადგენელი ნარგიზ მამედოვა, სოფელ სადახლოს საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ლალა ჯალილოვი, სოფელ შაუმიანის საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ოლგა რესტევანიანი, ქალაქ მარნეულის მცხოვრები ელნურ მამედოვი

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერმა ითხოვა განსახილველ საკითხთა ნუსხას დაემატოს 4 საკითხი: 1. ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ; 2. ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ; 3. შ.პ.ს „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ და 4. შ.პ.ს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. ფრაქციების დაფუძნების შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის N03/13168 წერილის განხილვის შესახებ.
4. შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2017 წლის 22 ნოემბრის N99 წერილის განხილვის შესახებ.
5. ქალაქ მარნეულში, გამსახურდიას ქუჩა N5-ში მცხოვრები მოქალაქე ქამრან კირიაკოვის განცხადების განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 07 დეკემბრის N03/13586 წერილის განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
8. ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
9. ა.ა.ი.პ. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა ბაღების გაერთიანება სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
10. შ.პ.ს „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.
11. შ.პ.ს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1.დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა საკრებულოს წევრებს სთხოვა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციების შექმნის საკითხი გადადებული იქნეს მომდევნო სხდომისთვის, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შემდეგ, როდესაც მოხდება ფრაქციების თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის პირად

განსაზღვრა და მოხდება ერთობლივი განხილვა, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა რომან ტაბატაძემ, გივი გიორგაძემ, ნოდარ მთვარელიძემ, რიჩარდ გიგანმა და ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინეს კომისიების ახალი შემადგენლობები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულებები: N107, N108, N109, N110 და N111. 08.12.2017 წ)

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის N03/13168 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს რეგულაციების შესახებ, რომელსაც ითვალისწინებს არსებული კანონმდებლობა. აღნიშნულ საკითხზე განმარტება გააკეთა ცენტრის ხელმძღვანელმა ზაურ კარამოვმა, ასევე საკრებულოს წევრების შეკითხვებს უპასუხა ცენტრის იურისტმა ედიშერ კუტალიამ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილებები: N56, N57, N58, N59 და N60. 08.12.2017 წ)

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა შ.პ.ს. „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ს 2017 წლის კორექტირებული საშტატო განრიგი. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა გამოთქვა წინადადება, რათა საკითხის განხილვა გადაიდოს და აღნიშნული საშტატო ცვლილება განხორციელდეს 2018 წლიდან, 2018 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ქალაქ მარნეულში, გამსახურდიას ქუჩა N5-ში მცხოვრები მოქალაქე ქამრან კირიაკოვის განცხადება, რომელიც ითხოვს 2000 ლარის გადარიცხვას ერთჯერადად, ჯილდოს სახით, რომანის „ვაშლის ერთი ნაკბეჩი“-ს ქართული ვარიანტის გამოსაცემად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N112. 08.12.2017 წ)

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტები: „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის „მარნეულის

მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ №41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი რანგების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 20 ნოემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე”.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით. წინააღმდეგი წავიდა აკამედ იმამკულიევი (მიღებულია დადგენილებები: N53, N54 და N55. 08.12.2017 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N52. 08.12.2017 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 8 დეკემბრის N03/13602 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ის 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა. ასევე დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. სარაგბო კლუბი „მარნეულის არმაზი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N113. 08.12.2017 წ)

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 8 დეკემბრის N03/13603 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N114. 08.12.2017 წ)

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 08 დეკემბრის N03/13601 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, დამტკიცდეს შ.პ.ს „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N115. 08.12.2017 წ)

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 08 დეკემბრის N03/13617 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, დამტკიცდეს შ.პ.ს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“-ის 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N116. 08.12.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ოცდამეოთხე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე